Re: ჟენევაში

David Sergeenko

Sun 5/20/2018 7:51 PM

To:Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>;

სალამი ბატონო ამირან
დღეს მიღებაზე არ მივდივარ. თუ თქვენ გექნათ თავისუფალი დრო, მერე იქნებ ერთად გვევახშმა.

Sent from my iPhone

On May 20, 2018, at 14:03, Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge> wrote:

> მოგესალმებით ბატონო დავით.
> იმედია კარგად იმგზავრეთ.
> რა გეგმები გაქვთ დღეს?
>
> გუშინ მთელი დღე იყო ევროპის მუდმივმოქმედი კომიტეტი,
> დღეს დილით ვიყავი ტედროსის გადარბენის ღონისძიებაზე და 15.30 ზე ალბათ საათნახევარი არის ევროპის ბრიფინგი სადაც ჟუჟანამ მთხოვა რომ მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრები ვიყოთ. ამდენად 1.5 საათი ვიქნები.
>
> მერე საღამოს მიღებებია და მიდიხართ რომელიმეზე?
>
> პატივისცემით
>
> ამირანი
>
> Sent from my Samsung Galaxy smartphone.
>
> -------- Original message --------
> From: David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>
> Date: 18/05/2018 09:49 (GMT+01:00)
> To: Maia Lagvilava <mlagvilava@moh.gov.ge>, Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>, Mikheil Dundua <mdundua@moh.gov.ge>
> Subject: სკრინინგი ვეტერანებში
>
> მოგესალმებით კოლეგებო
>
> ჩვენი გუშინდელი მსჯელობის კვალდაკვალ (რომ ვეტერანები უარს აცხადებენ მკურნალობაზე, თუ თანხა სრულად არ დაუფინანსდებათ), მინდოდა მეთხოვა შემდეგი-
>
> 1. მონაცემები- რამდენმა ვეტერანმა გაიარა სკრინინგი და მათგან რამდენია დადებითი'
> 2. რა ფორმით იქნა გაჟღერებული "ვეტერანების უარი"- მათი დეპარტამენტის დირექტორის მიერ, რაიმე დელეგაცია- წარმომადგენლობის მიერ, წერილობით, სიტყვიერად თუ როგორ?
>
> ამ ორი მონაცემის დაზუსტების შემდეგ უნდა გაკეთდეს სამოქმედო გეგმის ალგორითმი-

ა. უარს ამბობენ და ნუ იმკურნალებენ- ჩვენ შევთავაზეთ;
ბ. განხილული იქნას ვეტერანების დამატებითი სუბსიდირების საკითხი,
ბ.1- თავად ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ
ბ.2- ჯანდაცვის სამინისტროს მიერ,
ბ.3- ამ ვეტერანთა პროფილური (თავდაცვა, შსს,...) უწყებების მიერ,
ბ.4- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ;
ბ.5- რაიმე სხვა წყარო (დონორი....).

ასევე განსახილველი იქნება (სავარაუდო) სუბსიდირების ფორმა- ყველა ვეტერანს? მხოლოდ სოც. დაუცველს და/ან შშმპ-ს?

აქედან (და ზევით პირველ მონაცემში მოყვანილ) პარამეტრებზე დაიგეგმება სავარაუდო ბიუჯეტი.

გთხოვთ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში განიხილოთ ეს ალგორითმი, შემდგომ გაიაროთ კონსულტაცია ვეტერანთა დეპარტამენტის დირექტორთან და მაცნობოთ შედეგები.

მადლობა
პატივისცემით
დათო